## ჯაფირი

ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ სამარეც კი აქვს ახოვანი,
აურჩევია ნავსაყუდარად
ტყე უღრანი და ბალახოვანი.

ვით დიდი მუხა წამოქცეულა
და ჩახგრგილი, როგორც ნალეწი,
შეზელილია მშობელ მიწასთან,
მისი შრეებით გადანალესი.

სძინავს ბუმბერაზს ომში გადამდნარს,
ფიქრში ქართლს ითვლის თავის ხელთქმნილად,
და გრძნობს ბერმუხა, –
ათასი მუხა
მის ხერხემალზე ამოხეთქილა...

## მამაპაპურო კერაო,

მამაპაპურო კერაო,
შენ ხომ მისათვის ბოლავდი,
რომ რკინით გული გეკვერა
და გეწრთო სულის ფოლადი!

მთებო, თქვენ შთაგიბერიათ
გმირული გამბედაობა
და მისთვის თქვენი ფერია
ქართლის ლომკაცთა თაობა.

ხალხო, ცხოვრება მზებნილი
ხმლის ელვით გინათებია,
თავისუფლების მძებნელი
გმირი გმირს გიმატებია.

შენს დროშის ტარზე ჭიდილი
ბევრჯერ უყვარდათ ყორანთა
და ბევრჯერ თვითონ სიკვდილიც
გაგიჩეხია ორადა!

იცოცხლე; მუდამ დაჭქროდეს
შენი ფრთაცეცხლი მერანი;

გიყვარდა გულის სიცეცხლე
და მომავლისკენ მზერანი...